

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა ამერიკისმცოდნეობაში

პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის
120 კრედიტი

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა
2. მისანიჭებელი ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი. BA in Humanities
3. პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორები ვასილ კაჭარავა და ანასტასია ზაქარიამე

4. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება).

მიზანი: საბაკალავრო პროგრამა მიზანად ისახავს, ზოგადი ჰუმანიტარული განათლების ფონზე, სტუდენტს შესძინოს საბაზისო ცოდნა ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით. ეს გახლავთ სპეციფიკური, დარგთაშორისი სფერო და მოიცავს ცოდნისა და აზროვნების იმ სფერო, რომელსაც „ამერიკისმცოდნეობა“ ეწოდება. სწავლების მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ის ამოსავალი პოსტულატები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომელნიც განსაზღვრავენ ამერიკულ მენტალურ კარკასს და სოციოკულტურული სივრცის მდგრადობას, საბაზო ფასეულობებსა და განწყობებს, ისტორიულ-პოლიტიკურ, სამართლებრივ, ფილოსოფიურ, მხატვრულ, რელიგიურ და ზნეობრივ კულტურშემოქმედებისა და ცხოვრების წესს. სწავლების პროცესში სტუდენტი შეიძენს კონკრეტულ საბაზისო ცოდნას ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით, რაც გულისხმობს ინგლისური და ესპანური ენების საფუძვლიანად დაუფლებასთან ერთად, ამერიკული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, სამართლისა და ეკონომიკის, ხელოვნების, და სხვ., ძირითადი პრობლემების დასმის, განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი მეთოდების ცოდნას. ამასთან, სტუდენტი შეიძენს ამერიკული აზროვნებისა და ფასეულობების საწყისებში გარკვევის, გაგებისა და გაშუქებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარება იმ ზედაპირული და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი სტერეოტიპების დარღვევაში, რომლებიც მასიურ ცნობიერებაშია ჩამოყალიბებული. ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის გასრულების შემდეგ სტუდენტი შესძლებს შეაღწიოს ამერიკული კულტურის სიღრმისეულ ფენებში, ამერიკულ სივრცესა და სოციუმში აქცენტი გაუკეთოს იმ მნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც ამერიკულმა კულტურამ შეიტანა მსოფლიო კულტურაში და ადამიანური ყოფიერების არსებითი სტრუქტურების თავისუფალი გამლის საქმეში.

წარმოდგენილი პროგრამა თავისი არსით ინტერდისციპლინარული და დარგთაშორისია, ეს სპეციფიკა ასახულია მის კურიკულუმში: საგნები მოტანილია როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, ისე იურიდიული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესისა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების კურიკულუმებიდან. ამ ეტაპზე საბაკალავრო პროგრამა ამერიკისმცოდნეობაში წარმოდგენილია, როგორც ერთიანი პროგრამა, ანუ ის არ არის დაყოფილი მოდულებად, თუმცა მის აღნაგში ნახავთ საგნებს, რომლებიც ამერიკისმცოდნეობის ამა თუ იმ დარგს მიეკუთვნება (მაგალითად, საგნები აშშ ისტორია, ამერიკის ხალხთა

ეთნოლოგია, XIX და XX საუკუნეების ამერიკული ლიტერატურა, ამერიკული ფილოსოფია, და სხვა). არ არის გამორიცხული, რომ მომავალში, მიზანშეწონილად მივიჩნიოთ პროგრამის უფრო თვალნათლივი მოდულარული დაყოფაც. ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების საფუძველზე, ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ სტუდენტებს იმის გარკვევაში, თუ რომელი საგნები ამერიკისმცოდნეობის რომელ დარგს (ან დარგებს) ეკუთვნის. საგნების ჩამონათვალში ყველა საგანი არის ხუთკრედიტიანი.

სწავლის შედეგები.

ცოდნა და გაცნობიერება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით იღებს კომპლექსურ ცოდნას არა ოდენ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ ლათინური ამერიკის კულტურის ფენომენზე (ლიტერატურა, ფილოსოფია, პოლიტიკა და დიპლომატია, პოლიტიკური ფილოსოფია, ისტორია, ეთნოლოგია, მითოლოგია, ხელოვნება), ეუფლება ინგლისურსა და ესპანურ ენებს (ენის ცოდნის დონეა B2), ერკვევა ბრიტანული და ამერიკული ენების განსხვავებათა ნიუანსებში, ორიგინალში კითხულობს ამერიკული და ესპანური ლიტერატურისა და სხვა სპეციალური ლიტერატურების (ფილოსოფიური, ისტორიის მეცნიერებათა, ხელოვნებათმცოდნეობითი) ნიმუშებს, იძენს ამერიკისა და ამერიკული ყოფის თანამედროვეობისა თუ წარსულის შემოქმედებითი ათვისების უნარებს, ფლობს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძვლების, წერიტი და ზეპირი პრეზენტაციის უნარებს.

ამერიკისმცოდნეობის სწავლება აქტიური პროცესია. ამ პროცესში ვიყენებთ სწავლების შემდეგ ფორმებს: ლექციები, კონსულტაციები, სემინარები, კოლოკვიუმები. სტუდენტის წერილობითი ნამუშევრების განხილვა-შეფასება, ესეებისა და რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების პრეზენტაცია.

სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტებია: სტუდენტის გააზრებული კითხვა, სემინარული დისკუსიები, კონსულტაციები და სხვ. სწავლების ამ ფორმებით მიმდინარეობს საკითხებისა და პრობლემების ცოცხალი განხილვა, სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების, რეფერატებისა, თუ ესეების განხილვა-შეფასება. სწავლებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება. ამასთან სტუდენტს უვითარდება სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების, მათი დამუშავების უნარები, ფაქტობრივი მასალის ანალიზი და პრობლემის ამოცნობის უნარი.

ტრანსფერული უნარები. დროის დაგეგმვისა და საკომუნიკაციო უნარები, ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის უნარები, სოციალური უნარები.

დასაქმების სფეროები ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის მქონე ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- კულტურული და მთარგმნელობითი ცენტრები,
- ამერიკულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები,
- ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები,
- ბიბლიოთეკები,
- გამომცემლობები,
- მასმედია.

- **სწავლის გაგრძელების საშუალება:** ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ჰუმანიტარული სპეციალობით (სპეციალობათა ჩამონათვალს განსაზღვრავს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი), და, რა თქმა უნდა, ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამით.

- **ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია სწავლების მესამე სემესტრიდან.** საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს გავლილი უნდა ჰქონდეს შესავალი კურსი ამერიკისმცოდნეობაში.

ამერიკისმცოდნეობის (კოდი-23)

პროგრამის სტრუქტურა. (იხ. დანართი 1)

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი (240 კრედიტი)

ძირითადი პროგრამა- 120 კრედიტი:

სავალდებულო 75 კრედიტი

არჩევითი - 40 კრედიტი

საბაკალავრო ნაშრომი -5 კრედიტი

სილაბუსები. იხ. დანართი

შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში

საგნების სილაბუსები: (იხ. დანართი 2)

პროგრამაში მონაწილე ლექტორები: პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სხვა ფაკულტეტების პროფესორები. პროგრამას კონსულტაცია უწევს რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკამცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი **მაიკლ როკლენდი**

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო კოლეჯების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.

ძირითადი საფაკულტეტო საგნები 50 კრედიტი

1. შესავალი ამერიკისმცოდნეობაში 5

პირითადი (Major) პროგრამა

სავალდებულო საბნები 80 კრედიტი

1. ინგლისური ენა 25
2. ესპანური ენა ---10
3. XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა 5
4. XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა 5
5. ამერიკული ფილოსოფია 5
6. აშშ ისტორია(1877 წლამდე) – 5 კრედიტი
7. აშშ XX საუკუნის ისტორია 5
8. აშშ ხელოვნების ისტორია(ვიზუალური ხელოვნება) ---5
9. ამერიკული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური აზრი 5
10. საბაკალავრო ნაშრომი -5

არჩევითი საბნები 40 კრედიტი

დღესასწაულები აშშ-ში (ინგლისურენოვანი კურსი) -5

ფილოსოფია

1. სპეც.სემინარი “ჯორჯ სანტაიანა: “ამერიკული ხასიათი და მსოფლმხედველობა” / “ალექსის დე ტოკვილი ”ამერიკული დემოკრატია”--- 5
2. ამერიკული იდენტობა და ამერიკული თვითცნობიერება -5

3. ამერიკული პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება 5
4. ინფორმაციული საზოგადოება და კომუნიკაციები (ამერიკული მოდელი) ---5
5. პრაგმატიზმი 5

ისტორია

1. ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია – (1914-1945) 5 კრედიტი
2. ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია – (1945-დღემდე) 5 კრედიტი.
3. რელიგია თანამედროვე მსოფლიოში 5
4. აშშ XX საუკუნის დიპლომატიის ისტორია- 5
5. ამერიკის ხალხთა მითოლოგია 5
6. ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახლი ისტორია – (1550-1789)
7. ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახლი ისტორია – (1789-1914)
8. ამერიკის ხალხთა ეთნოლოგია 5

ხელოვნებათმცოდნეობა, კულტურის მეცნიერებები და ფილოლოგია

1. შესავალი ლათინურ- ამერიკულ ლიტერატურაში 5
2. ამერიკის შეერთებული შტატების კულტურა: ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი 5
- 3 დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის არქიტექტურა -5
6. ხელოვნების დეკლამანია (აშშ და დასავლეთ-ევროპა. კომპარატივისტული ანალიზი) 5

საგნები სხვა ფაკულტეტებისგან

1. გენდერი და პოლიტიკა 5
2. ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია 5
3. მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 5
4. საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია 5
5. მსოფლიო ეკონომიკა 5
6. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა -5

დამატებითი (minor) პროგრამა

1. დამატებითი პროგრამის დასახელება: დამატებითი (minor) პროგრამა ამერიკისმცოდნეობაში.
2. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება იგივეა, რაც ძირითადი პროგრამის შემთხვევაში, ოღონდ შეძენილი ცოდნა იქნება უფრო ზოგადი და ნაკლებად სპეციალიზირებული ხასიათის.
3. დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობები იქნება იგივე, რაც ჰუმანიტარული სპეციალობის სხვა დამატებითი პროგრამების შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად ეს საკითხი დამუშავდება ჰუმანიტარული სპეციალობების კოორდინატორებთან თათბირის შედეგად.
4. პროგრამის სტრუქტურა: დამატებითი სპეციალობისთვის პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა 60 კრედიტია. ძირითადი სპეციალობიდან დამატებით სპეციალობას შემდეგი საგნები შეადგენს (თითოეული საგანი ამ შემთხვევაშიც 5 კრედიტიანია)

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი

სავალდებულო საბნები 40 კრედიტი

- შესავალი ამერიკისმცოდნეობაში -5
 ინგლისური ენა 20
 XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა 5
 XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა 5
 ამერიკული ფილოსოფია 5

დასახელებული საგნების სილაბუსები ინახება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურში.

არჩევითი საბნები 20 კრედიტის ოდენობით სტუდენტი ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ძირითადი პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების კურიკულუმიდან.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს დაეუფლოს ორ major პროგრამას ამერიკისმცოდნეობა და ინგლისური ფილოლოგია

major
ამერიკისმცოდნეობა

minor
ისტორია
ხელოვნების ისტორია და თეორია
ფილოსოფია
ინგლისური ფილოლოგია
ესპანური ფილოლოგია

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და მოწვეული პედაგოგები.